პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2023 წლის —— მარტი **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქ. ბათუმში, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. N25–ში მდებარე შენობის ფასადზე გიორგი (გოგი) ქათამიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. გიორგი (გოგი) ქათამიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. N25–ში მდებარე შენობის ფასადზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალის–წინებული მემორიალური განთავსებას, თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს ოჯახი.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. N25–ში მდებარე შენობის ფასადზე გიორგი (გოგი) ქათამიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე გიორგი (გოგი) ქათამიძე დაიბადა ქ. ოზურგეთში. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფ. აჭარისწყლის სკოლაში, მოგვიანებით რაიონის განათლების განყოფილების გამგედ, შემდეგ აჭარის განათლების მინისტრის მოადგილედ, სადაც იმუშავა 27 წელი.

თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ხელმძღვანელობდა და აქტიურად მონაწილეობდა აჭარის განათლების სისტემის განვითარებისა და წინსვლის საქმეს, კურირებდა ახალი სკოლების მშენებლობასა და გახსნას აჭარის მაღალმთიანეთში.

გოგი ქათამიძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების საბჭოს შექმნასა და მუშაობაში.

მინიჭებული აქვს საქართველოსა და აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. მიღებული აქვს მრავალი სიგელი და ჯილდო.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. N25–ში მდებარე შენობის ფასადზე განთავსდეს გიორგი (გოგი) ქათამიძის სახელობის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ოჯახი.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი არ გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ნიკე“.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **ლევან ცხოიძე**